ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №919727

ნომერი: AR1164186

თარიღი : 24.09.2013

გაცემის თარიღი : 27.09.2013

გაცნობის თარიღი : 01.10.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 115 / ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 113 , ნაკვეთი 05/049 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რუსუდან არსლანი პ/ნ 01008021236
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 37 კორ. 1"ა" ბ. 26

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის N24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2 მუხლის ,,ა" პუნქტის მიხედვით სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის ფუნქციაა დადგენილი წესით სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა, არქიტექტურულ–სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით მათში ცვლილებების შეტანა. ამავე პუნქტის ,,ფ" ქვეპუნქტის მიხედვით სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით სამსახურს თავისი ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა–ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელების მიზნით სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება არ დაკმაყოფილდეს მოქ. რუსუდან არსლანის 24.09.2013 წლის N AR1164186 განაცხადი ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N115 / დავით აღმაშენებლის გამზ. N113–ში არსებულ შენობაზე კარის მოწყობასთან დაკავშირებით, ვინაიდან არსებულ შენობას ჩაუტარდა რეაბილიტაცია და ამ სახის ცვლილება არ არის მიზანშეწონილი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge